სსდ საავტომობილო
გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

01 მაისი 2024

MRDI-RD N 2-03/6307

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **დიმიტრი ზურაბიშვილს**

ბატონო **დიმიტრი,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2024 წლის 13 მარტის №34-3424073119 წერილი, რომელიც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ წეროვანში, საერთაშორისო მნიშვნელობის **თბილისი - სენაკი - ლესელიძეს (რუსეთის ფედერაციის საზღვარი)** საავტომობილო გზის კმ32-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს მდებარე 175კვ.მ მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული 175კვ.მ მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) განკარგვა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი - სენაკი - ლესელიძეს (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის მიწის ვაკისის ყრილის ძირიდან **25** მეტრის ფარგლებს მიღმა.

საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთებზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 თებერვლის **№289** განკარგულება.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული 175კვ.მ მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი - სენაკი - ლესელიძეს (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზასთან პირდაპირი მიერთება ვერ მოხდება და მასთან დაკავშირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ არსებული შიდა საგზაო ქსელის მეშვეობით.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების

დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე